

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №31
2019 წლის 5 თებერვალი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112)

დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 56¹ მუხლის მე-4 პუნქტის:

1. „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირის მიერ საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისა, გამომწერს უფლება აქვს განახორციელოს საგადასახადო დოკუმენტში შეტანილი რეკვიზიტების ცვლილება, გარდა გამოწერის თარიღის, ნომრის, ოპერაციის შინაარსის და ტიპისა;“.

2. „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

